

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი/Bachelor of Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა, როგორც ზოგადად პოლიტიკის მეცნიერებებში, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების (პოლიტიკის თეორია, ფილოსოფია, საქართველოს პოლიტიკა და ა.შ) შესახებ;
- ფართო ცოდნა მსოფლიო ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, პოლიტიკური აზროვნების ისტორიისა და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ;
- ფართო ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- ფართო ცოდნა ინდივიდის როლის, პასუხისმგებლობისა და საზოგადოებაში მისი უფლებების შესახებ.

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მცირე მასშტაბიანი კვლევის ჩატარების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენა - ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

### **ცოდნა და გაცნობიერება:**

ბაკალავრი საფუძვლიანად იცნობს პოლიტიკის მეცნიერებების სფეროს, ძირითად იდეოლოგიებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს. ახასიათებს მათ და ახდენს მათ კრიტიკულ გააზრებას. აქვს ფართო ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების შესახებ; აღწერს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების ისტორიასა და თანამედროვე პოლიტიკური სისტემას, ქართული პოლიტიკური აზრის ევოლუციას; იცნობს საქართველოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ერკვევა სხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში და შეუძლია მათი შედარება; ფლობს დარგის ტერმინოლოგიას, როგორ ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე; განმარტავს და ერთმანეთისაგან ასხვავებს ძირითად ცნებებს; იცის დარგის განვითარების ისტორია და თანამედროვე ტენდენციები; აცნობიერებს ინდივიდის როლსა და პასუხისმგებლობას თანამედროვე საზოგადოებაში; იცის და პატივს სცემს პიროვნების უფლებებს; აცნობიერებს პოლიტიკის მეცნიერებების სფეროს კომპლექსურ საკითხებს; მსჯელობს დარგის აქტუალურ პრობლემატიკაზე; ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

### **უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე, ბაკალავრი ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს. ბაკალავრი, კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, პოულობს ადეკვატურ და ეფექტურ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად; იყენებს სფეროსთვის დამახასიათებელ მეთოდს პრობლემების გადასაჭრელად; ახორციელებს მცირე მასშტაბიან კვლევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

ბაკალავრს აქვს პოლიტიკის მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი; გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტის სხვადასხვა კომპონენტებს; იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს; ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, პოულობს პრობლემის გადაწყვეტის გზას და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას; მოძიებული მასალის საფუძველზე, ერთი და იგივე მოვლენას თუ კონცეფციას აანალიზებს სხვადასხვა კუთხით და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები; შეიმუშავებს საკუთარ განსხვავებულ შეხედულებას და ლოგიკურად იცავს მას; განსაზღვრავს სხვადასხვა პოლიტიკური თეორიების დადებით და უარყოფით მხარეებს; დამაჯერებლად ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს; ადეკვატურად აღიქვამს და აანალიზებს საზოგადოებრივ პროცესებს.

ბაკალავრი წერილობითი და ზეპირი ფორმით (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) გადასცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს, როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს; ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; მეტყველებს და წერს გამართულად; ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს არჩეული მიმართულების თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

### **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემა; ადეკვატურად აფასებს სხვათა ღირებულებებს; აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, აქვს სოციალური პასუხისმგებლობა და მოქმედებს სამოქალაქო თვითშეგნებით; იგი მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას.

სტუდენტი ავლენს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და პროფესიული ზრდისკენ მისწრაფებას, გააზრებული აქვს ჯგუფურად განსახორციელებელი აქტივობების აუცილებლობა, ასევე შუძლია პასუხისმგებლობის აღება და ტოლერანტულია კოლეგების განსხვავებული აზრისადმი; ბაკალავრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით; აღიარებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობას და პლაგიატის მიუღებლობას; სტუდენტი იზიარებს მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებს; სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს; სტუდენტს გააზრებული აქვს ეროვნული ინტერესები და ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს უნივერსალური ღირებულებებით და ესწრაფვის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

### **შედეგებისა და მიზნების რუკა**

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ 7 შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

**შედეგი 1.** არგუმენტირებულად მსჯელობს პოლიტიკის მეცნიერებების საფუძვლებზე, ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების, თეორიებისა და სისტემების შესახებ.

**შედეგი 2.** აღწერს საქართველოს სახელმწიფო მოწყობას, განასხვავებს საქართველოს მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემებს, პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სისტემებს, იცის ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

**შედეგი 3.** პრაქტიკაში იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, წინასწარ განსაზღვრული მითითების ქვეშ ამზადებს მცირე მასშტაბის კვლევით პროექტს.

**შედეგი 4.** გამოარჩევს და ახდენს დარგის თანამედროვე პრობლემატიკის კლასიფიცირებას, კრიტიკულად აფასებს სხვადასხვა მოვლენებს პოლიტიკის პერსპექტივითა და შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით.

**შედეგი 5.** გამოარჩევს და აანალიზებს საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებსა და პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს, არგუმენტირებულად მსჯელობს საქართველოს განვითარების ისტორიასა და თანამედროვე გამოწვევებზე.

**შედეგი 6.** არგუმენტირებულად მსჯელობს ქართულ და ინგლისურ ენებზე წერილობითი და ზეპირი ფორმით, როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ წრეებთან.

**შედეგი 7.** აღიარებს და პრაქტიკაში იყენებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს.

აღნიშნული შედეგებისა და მიზნების მატრიცა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მიზნები
---------

შედეგები	ფართო თეორიული ცოდნა, როგორც ზოგადად პოლიტიკურ მეცნიერებებში, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ	ფართო ცოდნა მსოფლიო ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, პოლიტიკური აზროვნების ისტორიის და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ;	ფართო ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებების და ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების შესახებ;	ფართო ცოდნა ინდივიდის როლის, პასუხისმგებლობის და საზოგადოებაში მისი უფლებების შესახებ.	პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი, მცირე მასშტაბიანი კვლევის ჩატარების უნარი და სპეციალურად საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;	ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;	პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი
შედეგი 1	✓	✓	✓	✓			✓
შედეგი 2	✓		✓	✓	✓		✓
შედეგი 3					✓	✓	✓
შედეგი 4	✓	✓		✓	✓	✓	
შედეგი 5	✓		✓	✓			✓
შედეგი 6	✓				✓	✓	
შედეგი 7	✓	✓	✓	✓	✓		✓

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

### **შეფასების სისტემა უშვებს:**

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

### **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:



A = 4  
B = 3, 2  
C = 2, 4  
D = 1, 6  
E = 0, 8

#### დასაქმების სფერო:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა იძლევა თეორიულ ცოდნას ისევე, როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყოთ წარმატებული კარიერა პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით.

#### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს, შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

#### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

#### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი** - საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

თენგიზ ფხალაძე

ასოცირებული პროფესორი

გორგასლის ქ. #101

თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 2 497545

მობ: (995 599) 561560

e-Mail: [t.pkhaladze@gipa.ge](mailto:t.pkhaladze@gipa.ge)

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	ამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>სავალდებულო ზოგადი საგნები</b>				26	27	10							
1.	SSakw 103	არ გააჩნია	აკადემიური წერა	4/100								32	68
2.	SSsam 104	არ გააჩნია	სამართლის საფუძვლები	6/150								32	118
3.	SSdwg 105	არ გააჩნია	დიადი წიგნები	6/150								42	108
4.	SSpkal107	არ გააჩნია	პრეკალკულუსი	4/100								32	68
5.	SSistm 108	არ გააჩნია	მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები	6/150								32	118
6.	SSfsik 111	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები		5/125							32	93
7.	SSekos 112	SSpkal107	ეკონომიკის შესავალი		6/150							42	108
8.	SSfils 113	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		5/125							42	83
9.	SSsocs 114	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში		6/150							42	108
10.	SSkompun014	არ გააჩნია	კომპიუტერული უნარები		5/125							32	93
11.	SSpre 011	არ გააჩნია	პრეზენტაციის უნარები			5/125						32	93
12.	SSlogkr015	არ გააჩნია	ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება			5/125						32	93
<b>ინგლისური ენის კომპონენტი<sup>5</sup></b>				5	5	5							
1.	SSeng 100/SSeng 115	არ გააჩნია/SSeng 102	ინგლისური ენა 1/ინგლისური ენა 4	5/125								48	77
2.	SSeng 101/SSeng116	SSeng 100/SSeng 115	ინგლისური ენა 2/ინგლისური ენა 5		5/125							48	77
3.	SSeng 102	SSeng 101	ინგლისური ენა 3			5/125						48	77
<b>სპეციალობის სავალდებულო საგნები</b>						11	24	25	26	25	21		
1.	SSshpolm 901	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში			5/125						32	93

<sup>1</sup> კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

<sup>2</sup> სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

<sup>3</sup> საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

<sup>4</sup> დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

<sup>5</sup> ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 15 კრედიტის მოცულობით, 3 სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>2</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>3</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
2.	SSpolfil 902	SSfils 113	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია			6/150						42	108
3.	SSspols 303	არ გააჩნია	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა				5/125					32	93
4.	SSpolengl 903	SSeng 102	ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის				5/125					32	93
5.	SSqpolaz204	არ გააჩნია	ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია				5/125					32	93
6.	SSpsoc 302	არ გააჩნია	პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია				4/100					32	68
7.	SSufleb 301	SSsam 104	ადამიანის უფლებები				5/125					32	93
8.	SSsagic411	SSekos 112	საჯარო სექტორის ეკონომიკა					5/125				32	93
9.	SSspsur 305	SSistm 108	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში					5/125				32	93
10.	SSsorg 317	არ გააჩნია	საერთაშორისო ორგანიზაციები					5/125				32	93
11.	SSsgpol 219	არ გააჩნია	საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები					5/125				32	93
12.	SSshpol311	SSshpolm 901, SSpolengl 903	შედარებითი პოლიტიკა					5/125				32	93
13.	SSkvlst 200	SSpkal107	კვლევის მეთოდები და სტატისტიკა						6/150			42	108
14.	SSaqtpol 904	არ გააჩნია	არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში						5/125			32	93
15.	SSkonf 214	SSspsur 305, SSshpolm 901, SSpolengl 903.	შესავალი კონფლიქტოლოგიაში						5/125			32	93
16.	SSglob 310	არ გააჩნია	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია						5/125			32	93
17.	SSsagp 318	SSspsur 305	საქართველოს საგარეო პოლიტიკა						5/125			32	93
18.	SSpolps 527	SSfsik 111	პოლიტიკური ფსიქოლოგია							5/125		32	93
19.	SSeurop 314	SSpolengl 903	ევროკავშირის პოლიტიკა							5/125		32	93
20.	SSarchsam 322	SSsam 104	საარჩევნო სამართალი							5/125		32	93
21.	SSerusaf 319	SSkonf 214, SSpolengl 903	შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში							5/125		32	93
22.	SSpolkomun 906	SSpolengl 903	პოლიტიკური კომუნიკაცია							5/125		32	93
23.	SSspol 307	SSsocs 114	სოციალური პოლიტიკა								5/125	32	93
24.	SSpolmark 905	SSpolengl 903	პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები							6/150		32	118
25.	SSdproj 323	SSshpolm 901, SSpolfil 902, SSkvlst 200;	დასკვნითი სასწავლო პროექტი								10/250	40	210
			არჩევითი საგნები			6	6	6	6	6			

1.	Sschina 320	არ გააჩნია	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა			6/150					48	102
2.	SSaerekon 325	SSekos 112	საერთაშორისო ეკონომიკა			6/150					32	118
3.	Sspdrdez 322	არ გააჩნია	პოლიტიკური პროპაგანდა და დეზინფორმაცია			6/150					48	102
4.	Sspolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია				6/150				32	118
5.	SSKulturt 711	არ გააჩნია	კულტურათმშორის ურთიერთობები				6/150				32	118
6.	Sspoltq 308	არ გააჩნია	პოლიტიკური ტექნოლოგიები, საზოგ. აზრის ფორმირების ტექნიკა				6/150				42	108
7.	SSagmos 315	არ გააჩნია	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა				6/150				32	118
8.	SSregurb 416	SSekos 112	რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა					6/150			32	118
9.	Ssmeneg 203	არ გააჩნია	ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლები					6/150			32	118
10.	SSfin 413	Sspkal 107	ფინანსების მართვა					6/150			42	108
11.	SSorgps 525	არ გააჩნია	ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია					6/150			32	118
12.	SSprm 201	არ გააჩნია	პროექტის მართვა						6/150		32	118
13.	Ssbizn 405	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები						6/150		42	108
14.	Ssdemsaph 323	არ გააჩნია	დემოკრატიის საფუძვლები						6/150		48	102
15.	SSganvek 421	არ გააჩნია	განვითარების ეკონომიკა						6/150		32	118
16.	SSruss 316	არ გააჩნია	რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე						6/150		32	118
17.	SSusp 313	SSistm 108; SSeng102	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა						6/150		32	118
18.	SSkinopol324	არ გააჩნია	კინო და პოლიტიკა							6/150	32	118
19.	SSpandraiz713	SSprm201	ფონდების მოძიება							6/150	32	118
20.	SSrelig 320	არ გააჩნია	სახელმწიფო პოლიტიკა და რელიგია							6/150	32	118
21.	SSseko 422	SSekos 112	საქართველოს ეკონომიკა							6/150	32	118
22.	SSpsant 514	SSfsik 111	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია							6/150	32	118
23.			თავისუფალი კრედიტი							6/150 <sup>1</sup>	32	118
სემესტრში				31	32	32	30	31	32	31	21	
წელიწადში				63		62		63		52		

## სწავლის შედეგების რუკა 2

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Development), M აღნიშნავს განმტკიცებას (Mastering), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს გაცნობისა და პრაქტიკის (IP), გაღრმავებისა და პრაქტიკის (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე.

<sup>1</sup> სტუდენტს თავისუფალი კრედიტის არჩევა შეუძლია III-დან VII სემესტრის ჩათვლით

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი. შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

### სწავლის შედეგების რუკა

#### შედეგები

საგნის კოდი	საგანი/ მოდული	აქვს მყარი თეორიული საფუძველი პოლიტიკური მეცნიერებებში, რაც გულისხმობს ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების, თეორიების, სისტემების ცოდნას.	იცნობს საქართველოს სახელმწიფო მოწყობას, მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემებს, პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო სისტემას. იცის ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.	ფლობს თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს. შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება და მონაცემთა ანალიზი.	ერკვევა დარგის თანამედროვე პრობლემებში. შეუძლია სხვადასხვა მოვლენის ანალიზი პოლიტიკის პერსპექტივით, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით.	ესმის საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები და პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. იცის ქართული სახელმწიფოს განვითარების ისტორია და თანამედროვე გამოწვევები.	გამართულად გადმოსცემს საკუთარ არგუმენტებს წერილობითი და ზეპირი ფორმით.	იცნობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს	სამიზნე ნიშნული
SSakw 103	აკადემიური წერა			I			IP		71%
SSsam 104	სამართლის საფუძვლები	I	I		I		I	I	71%
SSdwg 105	დიადი წიგნები	I					I	I	71%
SSpka 107	პრეკალკულუსი			IP					67%
SSistm 108	მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები	I		I		I	I	I	71%
SSfsik 111	ფსიქოლოგიის საფუძვლები	I			I		I		71%

SSekos 112	ეკონომიკის შესავალი	I	I		I	I	I		71%
SSfils 113	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	I					I	I	71%
SSsocs 114	შესავალი სოციოლოგიაში	I		I	I		I	I	71%
SSkompun 014	კომპიუტერული უნარები			IP			IP		67%
SSeng 100	ინგლისური ენა 1/ინგლისური ენა 4						IP		71%
SSeng 101	ინგლისური ენა 2/ინგლისური ენა 5						DP		71%
SSeng 102	ინგლისური ენა 3						MP		71%
SSpre 011	პრეზენტაციის უნარები						MP		71%
Sssadm 303	ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება			I			DP		67%
SSlogkr015	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	I	I		I	I	D	I	71%
SSpolfil 902	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია	I	I		I	I	I	I	71%
SSqpolaz204	ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია	D	D		D	D	D	D	71%
SSpols 303	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა	D	D		D	D	D	D	71%
SSpsoc 302	პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია	D		I	D	I	D		71%
SSpolengl 903	ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის						MP		71%
SSufleb 301	ადამიანის უფლებები	DP	D		D	DP	MP	MP	71%
SSsagic411	საჯარო სექტორის ეკონომიკა	I	I		I	D	D	D	71%
SSspsur 305	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	I			D	D	D	D	71%
SSsorg 317	საერთაშორისო ორგანიზაციები	D	D		I	D	D	D	71%



SSsgpol 219	საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები	D	D		I	D	DP	D	71%
SSkvlst 200	კვლევის მეთოდები და სტატისტიკა			DP			DP		67%
SSshpol311	შედარებითი პოლიტიკა	DP	DP		DP	D	DP	D	71%
SSaqtpol 904	არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში	D	D		D	D	D	D	71%
SSkonf 214	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	D	D		D	D	D	D	71%
SSglob 310	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია	M	I		D	M	D	D	71%
SSsagp 318	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	M	D		D	M	D	D	71%
SSpolp 527	პოლიტიკური ფსიქოლოგია	I			I		D	D	71%
Sseurop 314	ევროკავშირის პოლიტიკა	D	D		D	D	D	D	71%
SSarchsam 322	საარჩევნო სამართალი	DP	D		D	D	DP	DP	71%
SSerufaf 319	შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში	D	D		I	D	D	D	71%
SSpolmark 905	პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები	D	D		MP	D	DP	D	71%
SSpolkomun906	პოლიტიკური კომუნიკაცია	D	D		MP	D	MP	D	71%
SSspol 307	სოციალური პოლიტიკა	D	DP		I	M	D	D	71%
Sspoproj 317	დასკვნითი სასწავლო პროექტი	MP	MP	MP	M	MP	MP	MP	71%

პროგრამის სრული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. შედეგებისთვის ნიშნულების შეფასება ხდება დამამთავრებელი კურსის დასკვნითი სასწავლო პროექტის მიხედვით. პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის დასკვნითი სასწავლო პროექტი უნდა ეხებოდეს პოლიტიკის მეცნიერებების თემატიკას, რაც შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის თეორიის, პოლიტიკის ფილოსოფიის, შედარებითი პოლიტიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და სხვა იმ საკითხებს, რომლებიც სწავლების პერიოდში იქნა დაფარული და კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

შედეგების შეფასება ხდება დასკვნითი სასწავლო პროექტის ფარგლებში სტუდენტების მიერ მიღწეული საშუალო შედეგების მიხედვით. დასკვნითი სასწავლო პროექტი ფარავს ყველა შედეგს M დონეზე და ფასდება სამი კომპონენტით: პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხის/პრობლემის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდები - 40%; წყაროების/მონაცემების ანალიზი, არგუმენტაცია, დასკვნები - 40%; პრეზენტაციის უნარი/დისკუსია - 20%. თითოეულ ჩამოთვლილ შედეგს შეფასებაში

მინიჭებული აქვს ხვედრითი წონა. რაც შეეხება სწავლის შედეგების ზოგად სამიზნე ნიშნულებს ისინი ასე გამოიყურება: ქულების სამიზნე ნიშნული - 71% , ხოლო სტუდენტების - 50%, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოლოდინით სტუდენტების 50%-მა დასკვნით სასწავლო პროექტში მინიმუმ 71 ქულა უნდა აიღოს.

ამგვარად, პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს დასკვნითი სასწავლო პროექტს და საბოლოოდ გადის იმ შვიდ შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით. თითოეული ნიშნულისთვის დაშვებული გადახრა შეადგენს 10%-ს.

დასკვნითი სასწავლო პროექტი	სწავლის შედეგები						
	1	2	3	4	5	6	7
პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხის/პრობლემის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდები - 40%	6	6	6	6	6	5	5
წყაროების/მონაცემების ანალიზი, არგუმენტაცია, დასკვნები - 40%	6	6	5	6	6	5	6
პრეზენტაციის უნარი/დისკუსია - 20%	1	1	2	5	1	5	5
სწავლის შედეგების წილი მთლიან შეფასებაში	13	13	13	17	13	15	16
სამიზნე ნიშნული (ქულები)	71%	71%	71%	71%	71%	71%	71%
სამიზნე ნიშნული (სტუდენტები)	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%



დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე CURRICULUM VITAE	
სახელი, გვარი	თენგიზ ფხალაძე
თანამდებობა	პოლიტიკურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: 599561560   ელ-ფოსტა: <a href="mailto:t.pkhaladze@gipa.ge">t.pkhaladze@gipa.ge</a>
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	
პუბლიკაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>- The “Humanitarian Dimension” of Russian Foreign Policy Toward Georgia, Moldova, Ukraine and the Baltic states – CEEPS; რიგა 2009წ.</li> <li>- „Soft Power - რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოს მიმართ (2008 წლის აგვისტოს მოის შემდგომი პერიოდი)“ - გამომცემლობა „მთაწმინდელი“; ქ. თბილისი 2010 წ.</li> <li>- Religion as an Instrument of Russian Foreign Policy towards Neighboring Countries (Georgia, Ukraine, Latvia) - გამომცემლობა „მთაწმინდელი“ ქ. თბილისი 2012წ.</li> <li>- „Russia and Georgia: Searching The Way Out” (Public Policy Papers Elaborated By Georgian and Russian Experts) FFSIS, 2011 - თანაავტორი</li> </ul>

დანართი N2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ			
#	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	- ინგლისური ენა 1 - ინგლისური ენა 2 - ინგლისური ენა 3 -
2	ჯეფერი მორსკი	მოწვეული ლექტორი	- ინგლისური ენა 3 - ინგლისური ენა 4 - ინგლისური ენა 5
3	სალომე დუმბაძე	ასისტენტი	- აკადემიური წერა
4	ლევან კოკაია	მოწვეული ლექტორი	- სამართლის საფუძვლები
5	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	- დიადი წიგნები
6	მიხეილ ნიკოლეიშვილი	პროფესორი	- პრეკალკულუსი
7	თორნიკე ქორილიანი	მოწვეული ლექტორი	- ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება
8	ზაალ აბაშიძე	პროფესორი	- მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები
9	მარიამ ალანია	ასოცირებული პროფესორი	- ფსიქოლოგიის საფუძვლები
10	მერაბ კაკულია	პროფესორი	- ეკონომიკის შესავალი
11	ვახტანგ ლომჯარია	ასისტენტი	- ეკონომიკის შესავალი
12	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	- შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში - პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია - პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია
13	თეონა მატარაძე	მოწვეული ლექტორი	- შესავალი სოციოლოგიაში
14	გიორგი შუბითიძე	ასისტენტი	- შესავალი სოციოლოგიაში
15	თამთა ცინცაძე	მოწვეული ლექტორი	- პრეზენტაციის უნარები
16	ნინო ჩარეჭიშვილი	ასოცირებული პროფესორი	- ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია
17	გაიოზ ჯაფარიძე	მოწვეული ლექტორი	- საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა - შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში
18	ივანე ცერცვაძე	პროფესორი	- კომპიუტერული უნარ-ჩვევები - კვლევის მეთოდები და სტატისტიკა
19	ნანა ადეიშვილი	ასოცირებული პროფესორი	- განვითარების ეკონომიკა
20	თინათინ ერქვანია	ასოცირებული პროფესორი	- ადამიანის უფლებები
21	ნათია კუტივაძე	ასოცირებული პროფესორი	- საჯარო სექტორის ეკონომიკა
22	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	- შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში - კინო და პოლიტიკა
23	ნატო ბაჩიაშვილი	მოწვეული ლექტორი	- საერთაშორისო ორგანიზაციები - საარჩევნო სამართალი
24	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	- საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები
25	მარიამ სეხნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	- კვლევის მეთოდები და სტატისტიკა

26	ზვიად ბარქაია	მოწვეული ლექტორი	- შედარებითი პოლიტიკა
27	ანა დიაკონიძე	ასოცირებული პროფესორი	- სოციალური პოლიტიკა
28	ზურაბ აგლაძე	მოწვეული ლექტორი	- შესავალი კონფლიქტოლოგიაში - აშშ-ს საგარეო პოლიტიკა
29	თენგიზ ფხალაძე	ასოცირებული პროფესორი	- გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია - საქართველოს საგარეო პოლიტიკა - რუსეთი და პოსტ-საბჭოთა სივრცე
30	რამაზ საყვარელიძე	მოწვეული ლექტორი	- პოლიტიკური ფსიქოლოგია
31	ივანე ჩხიკვაძე	მოწვეული ლექტორი	- ევროკავშირის პოლიტიკა
32	ნოდარ ხარშილაძე	მოწვეული ლექტორი	- შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში
33	დავით ჩიკვაძე	მოწვეული ლექტორი	- სახელმწიფო პოლიტიკა და რელიგია
34	მედეა ღვაბერიძე	მოწვეული ლექტორი	- საქართველოს ეკონომიკა
35	გიორგი თურქია	პროფესორი	- ბიზნესის საფუძვლები - ფინანსების მართვა
36	თამარ ტურაშვილი	მოწვეული ლექტორი	- ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია
37	გიორგი აბაშიშვილი	პროფესორი	- საერთაშორისო ეკონომიკა
38	თინათინ ხომერიკი	ასისტენტი	- ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია
39	ლევან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	- ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა
40	თინათინ კახიანი	მოწვეული ლექტორი	- პროექტის მართვა - ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლები
41	თეონა მაჭარაშვილი	მოწვეული ლექტორი	- ფონდების მოძიება
42	ნინო ტაბეშაძე	პროფესორი	- კულტურათმშობის ურთიერთობები
43	დავით ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	- პოლიტიკა და მითოლოგია
44	ნინო აბზიანიძე	ასოცირებული პროფესორი	- ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის - პოლიტიკური კომუნიკაცია
45	ნინო რუსიძე	ასისტენტ-პროფესორი	- პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები - არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში - პოლიტიკური ტექნოლოგიები/საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტექნიკა
46	რევაზ ბახტაძე	მოწვეული ლექტორი	- ჩინეთის საგარეო პოლიტიკა
47	გრიგოლ ჯულუხიძე	მოწვეული ლექტორი	- პოლიტიკური პროპაგანდა და დეზინფორმაცია
48	რომან ხარბედია	პროფესორი	- რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა
49	გიორგი კობერიძე	ასისტენტ-პროფესორი	- დემოკრატიის საფუძვლები